(სსიპ) იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი

აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ინსტრუქცია

(ცვლილებები დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური

საბჭოს სხდომაზე: 2016 წლის 1 აპრილი ოქმი # 11)

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი /ირმა შიოშვილი/

I. ზოგადი ინფორმაცია

1. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი საგანმანათლებლო პროგრამას (კურიკულუმს) განმარტავს, როგორც „უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობას, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები“. საგანმანათლებლო პროგრამა არის სწავლის შედეგებსა და კომპეტენციებზე, დარგობრივი, პრაქტიკული და ზოგადი, ე. წ. ტრანსფერული უნარების შეძენაზე დაფუძნებული, სტუდენტზე ორიენტირებული, მოქნილი სტრუქტურის მქონე კურიკულუმი, სასწავლო კურსების/მოდულებისგან შემდგარი მთლიანობა. ერთი და იგივე სასწავლო კურსი/მოდული მონაწილეობას იღებს ერთი საფეხურის სხვადასხვა საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო პროგრამაში.
2. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი მოდულს განმარტავს, როგორც “სწავლების დამოუკიდებელ, თანმიმდევრულ ბლოკს, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს“. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას.
3. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი კრედიტს განმარტავს, როგორც „ერთეულს, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ“.
4. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი სასწავლო კურსის პროგრამას (სილაბუსს) განმარტავს, როგორც „დოკუმენტს, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ“.
5. საბაკალავრო პროგრამის მომზადების დროს გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ბაკალავრიატს განმარტავს, როგორც „აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის“. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, “ბაკალავრიატში სწავლის მიზანია სრულ ზოგად განათლებაზე უფრო მაღალი დონის პროფესიულ მომზადებასთან ერთად სასწავლო დისციპლინების თეორიული ასპექტების შედარებით ღრმა ათვისება, რაც კვლევითი ხასიათის პროგრამებით ამზადებს პირს მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისა და მუშაობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით”. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს „ბაკალავრი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

6. პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლის შემთხვევაში სტუდენტს ენიჭება შუალედური კვალიფიკაცია. შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება დასაშვებია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რომელიც არ შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები. კერძოდ, სტუდენტს ენიჭება შუალედური კვალიფიკაცია იმ შემთხვევაში, თუ საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული არანაკლებ 240 კრედიტიდან ათვისებული აქვს არანაკლებ 120 კრედიტი, მათ შორის ძირითადი (საკვალიფიკაციო) პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტიდან ათვისებული აქვს არანაკლებ 60 კრედიტი.
7. დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის პროგრამის მომზადების დროს გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა სამედიცინო/ სტომატოლოგიური განათლების პროგრამას განმარტავს, როგორც „ერთსაფეხურიან უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით“. პროგრამა ითვალისწინებს მედიკოსის/სტომატოლოგის მომზადებას პრაქტიკული ხასიათის პროფესიული საქმიანობისათვის. დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი ან დიპლომირებული სტომატოლოგის 300-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან.
8. სამაგისტრო პროგრამის მომზადების დროს გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა მაგისტრატურას განმარტავს, როგორც „აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის”. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, მაგისტრატურაში სწავლის მიზნებია:

   ა) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება;

   ბ) სპეციალობის შეცვლა;

   გ) კვალიფიკაციის ამაღლება”.

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის მეხუთე პუნქტის შესაბამისად, „მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, გარდა სახელოვნებო-შემოქმედებითი ან სასპორტო უმაღლესი სპეციალობებისა, არ შეიძლება შედგებოდეს მხოლოდ სწავლებისაგან. ის აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის მიერ ისეთი კვლევების დამოუკიდებლად ჩატარებას, რომელთა საფუძველზედაც იგი შეძლებს საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენას“. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს

ტერმინს „მაგისტრი“ შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით.

9. სადოქტორო პროგრამის მომზადების დროს გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს კანონმდებლობა დოქტორანტურას განმარტავს როგორც, „აკადემიური უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს სამეცნიერო კადრის მომზადებას და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით“. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელით, უქმნის პირობებს სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირებული სამუშაოს ჩასატარებლად, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ თეორიულ ან/და ექსპერიმენტულ შედეგებს, ხელს უწყობს დოქტორანტის ინტეგრაციას მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში“. დოქტორანტურის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი, რომლის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს „დოქტორი“ შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს სადისერტაციო საბჭო შესაბამისი დებულების მოთხოვნათა დაცვით.

II. კრედიტების განაწილება

1. საბაკალავრო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 240 კრედიტით. მათ შორის:

ა) სახელმწიფოს მიერ არარეგულირებადი პროფესიებისათვის:

- არანაკლებ 120 კრედიტი ეთმობა ძირითადი სპეციალობის კურსებს;
- 60 კრედიტი ეთმობა დამატებითი სპეციალობის პროგრამას / თავისუფალ კრედიტებს;
- 30 კრედიტი ეთმობა საუნივერსიტეტო-სავალდებულო საგნებს: (აკადემიური წერა – 5 კრედიტი, კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები - 5 კრედიტი, უცხო ენა -20 კრედიტი).
- 30 კრედიტი - საუნივერსიტეტო-არჩევითი საგნები.

ბ) სახელმწიფოს მიერ რეგულირებადი პროფესიებისათვის (ჯანდაცვა, განათლება, სამართალი)

- საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 75 % ეთმობა რეგულირებადი პროფესიებისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.
- 30 კრედიტი ეთმობა საუნივერსიტეტო-სავალდებულო საგნებს: (აკადემიური წერა – 5 კრედიტი, კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები - 5 კრედიტი, უცხო ენა -20 კრედიტი).
- არაუმეტეს 30 კრედიტი - საუნივერსიტეტო-არჩევითი საგნები.

2. სამაგისტრო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 120 კრედიტით, რომლის აუცილებელი კომპონენტია სამაგისტრო ნაშრომი. ის მოიცავს არანაკლებ 30 კრედიტს. სამაგისტრო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტსა და დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებულ საკვალიფიკაციო ნაშრომს. სასურველია სამაგისტრო პროგრამა შედგებოდეს პრაქტიკული კომპონენტისგანაც.
3. სადოქტორო პროგრამის მოცულობა განისაზღვრება არანაკლებ 180 კრედიტით, რომელიც შეიძლება განაწილდეს შემდეგნაირად:
    - კვლევითი კომპონენტი – 120 კრედიტი;
    - სასწავლო კომპონენტი – 60 კრედიტი.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს. იგი სრულდება დამოუკიდებელი კვლევის საფუძველზე შემუშავებული საკვალიფიკაციო ნაშრომის შემუშავებითა და საჯარო დაცვით.

III. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას მითითებული თანმიმდევრობით:

- **თავფურცელი** *[დანართი №1 შესაბამისად]*
- **ფაკულტეტი:** *[მიუთითეთ ფაკულტეტი, რომელიც სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამას]*
- **დეპარტამენტი:** *[მიუთითეთ ის დეპარტამენტი, რომელიც სთავაზობს საგანმანათლებლო პროგრამას]*
- **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** *[მიუთითეთ ქართულ და ინგლისურ ენებზე]*
- **პროგრამის ანალოგ(ებ)ი:** *[სასურველია მიუთითოთ, ევროპის, აშშ-ს და მსოფლიოში წამყვან სხვა რომელ უნივერსიტეტში ხორციელდება მსგავსი საბაკალავრო / სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამა. სასურველია მიუთითოთ ვებგვერდი, სადაც შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება ანალოგი სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის შესახებ]*
- **საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი:** *[მიუთითეთ ვინაობა, აკადემიური ხარისხი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია. გასათვალისწინებელია, რომ პროგრამის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს შესაბამისი დარგის პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი, ხოლო თანახელმძღვანელი – შესაბამისი დარგის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული პროფესორი.*
- **აკადემიური განათლების საფეხური:** *[ბაკალავრიატი (I საფეხური)/ მაგისტრატურა (II საფეხური)/დოქტორანტურა (III საფეხური)/ ერთსაფეხურიანი სამედიცინო (გათანაბრებული II საფეხურთან).*
- **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** *[აკადემიური, ძირითადი, დამატებითი და ა.შ.]*
- **სწავლების ენა:** *[სწავლების ენა არის ქართული. უცხოურ ენაზე დასაშვებია საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება, მისი*

გავლის წინაპირობად უცხოური ენის ფლობის დადგენა და/ან გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითება. საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. საგანმანათლებლო პროგრამის უცხოურ ენაზე შეთავაზების შემთხვევაში უნდა მიეთითოს შესაბამისი ენა/ენები.]

- **მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** *[მიუთითეთ ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგი წესის დაცვით:*
  - *პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მოკლე ციკლის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „შუალედური კვალიფიკაცია“, მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.*
  - *პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „ბაკალავრი“, შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით;*
  - *მეორე საფეხურის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „მაგისტრი“, შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით;*
  - *სამედიცინო განათლების ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – “დიპლომირებული”, შესაბამისი დარგის/სპეციალობის მითითებით;*
  - *მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „დოქტორი“, შესაბამისი მიმართულების ან დარგის/სპეციალობის მითითებით.*

კვალიფიკაციების მინიჭება ხორციელდება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში გაწერილი “მიმართულებების, დარგების/სპეციალობების, ქვედარგების/სპეციალიზაციების ჩამონათვალის” შესაბამისად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #120 / ნ ; იხ. http://eqe.ge/geo/static/125/system/national-qualifications-framework*).]*

პროგრამის მოცულობა კრედიტებით: *[პროფესიული – შესაბამისი საფეხურის სტანდარტის მიხედვით, ბაკალავრიატი – არანაკლებ 240 კრედიტი, ძირითადი სპეციალობა – არანაკლებ 120 კრედიტი, რეგულირებადი სპეციალობებისათვის არანაკლებ 75 %, დამატებითი სპეციალობა / თავისუფალი კრედიტები – 60 კრედიტი,* 30 კრედიტი ეთმობა საუნივერსიტეტო-სავალდებულო საგნებს: (აკადემიური წერა – 5 კრედიტი, კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები - 5 კრედიტი, უცხო ენა -20 კრედიტი). 30 კრედიტი - საუნივერსიტეტო-არჩევითი საგნები.

- *მაგისტრატურა – არანაკლებ 120 კრედიტი, დოქტორანტურა – არანაკლებ 180 კრედიტი, დიპლომირებული მედიკოსი – 360 კრედიტი, დიპლომირებული სტომატოლოგი/ვეტერინარი – 300 კრედიტი.*

- **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** *[მიუთითეთ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი, საუნივერსიტეტო წესი, ინფორმაცია ჯგუფში სტუდენტთა დასაშვები რაოდენობის შესახებ და კონკრეტული პროგრამის მოთხოვნები(არსებობის შემთხვევაში).*
- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:** *[პროგრამის მიზანი მიმართული უნდა იყოს სტუდენტის კომპეტენციების გამომუშავებასა და დასაქმების სფეროს განსაზღვრაზე, ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ფლობის დონის განსაზღვრაზე.]*
- **სწავლის შედეგი:** *[სწავლის შედეგი არის განაცხადი იმის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, რისი გაკეთება უნდა შეეძლოს და რა ფასეულობები უნდა ჰქონდეს პირს პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგი უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ სტანდარტს. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და შესაბამის დარგობრივ დოკუმენტზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე, ხორციელდება ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო აღწერს უმაღლესი განათლების თითოეული საფეხურის სწავლის შედეგებს 6 კრიტერიუმის საფუძველზე:*
  - *ცოდნა და გაცნობიერება;*
  - *ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;*
  - *დასკვნის უნარი;*
  - *კომუნიკაციის უნარი;*
  - *სწავლის უნარი;*
  - *ღირებულებები.*
- **სწავლის შედეგების რუქა:** *[შეავსეთ ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით:*

სასწავლო კურსები/მოდულები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	×					×
		×				
		×	×			

სადაც აღინიშნება საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის/პრაქტიკის გავლის შედეგად მიღწეული კომპეტენციები.]

- **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები/ფორმები:** *[მიუთითეთ, რა ძირითადი მეთოდები/ფორმები გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად]*
- **დასაქმების სფერო:** *[მიუთითეთ კურსდამთარებულის შესაძლო დასაქმების სფერო და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა]*
- **მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** *[მიუთითეთ პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა, ინფორმაცია მატერიალური*

რესურსის შესახებ, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის]

- **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** *[მიუთითეთ უნივერსიტეტში ფუნქციონირებადი სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა აკადემიური საფეხურებისათვის და კონკრეტული პროგრამისათვის სპეციფიკური მოთხოვნები. სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისათვის, ასევე მიუთითეთ საბაკალავრო (არსებობის შემთხვევაში) სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების დაცვის შეფასების კრიტერიუმები];*
- **სწავლების ორგანიზების თავისებურებები:** *[მიუთითეთ დამატებითი ინფორმაცია, რომელიც უჩვენებს პროგრამით გათვალისწინებული სწავლების პროცესის ორგანიზების თავისებურებებს.]*
- **სპეციალობის არჩევანი:** *[აღნიშნული პუნქტი ივსება მხოლოდ დამატებითი სპეციალობის პროგრამისათვის. გასათვალისწინებელია, რომ დამატებითი სპეციალობის არჩევა ხდება სტუდენტის მიერ II სემესტრის ბოლოს და პროგრამა მუშაობას იწყებს III სემესტრიდან]*
- **სამეცნიერო კვლევის ელემენტები:** *[აღნიშნული პუნქტი ივსება მხოლოდ სამაგისტრო პროგრამისათვის]*
- **კვლევის თემატიკა:** *[აღნიშნული პუნქტი ივსება მხოლოდ სადოქტორო პროგრამისათვის. მოიყვანეთ პროგრამით გათვალისწინებული კვლევის შესაძლო თემატიკის ჩამონათვალი]*
- **სემინარების თემატიკა:** *[აღნიშნული პუნქტი ივსება მხოლოდ სადოქტორო პროგრამისათვის. მოიყვანეთ პროგრამით გათვალისწინებული სემინარების შესაძლო თემატიკის ჩამონათვალი]*
- **მისაღები გამოცდის პროგრამა:** *[აღნიშნული პუნქტი ივსება მხოლოდ პროფესიული (საჭიროების შემთხვევაში), სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამისათვის. მიუთითეთ შესაბამის სპეციალობაში მისაღები გამოცდის პროგრამაში გათვალისწინებული საკითხები და მათი შესაბამისი ლიტერატურა].*

<u>პროგრამასთან უნდა ახლდეს:</u>

- **სასწავლო გეგმა** *[დანართი №2 შესაბამისად. გასათვალისწინებელია, რომ:*
  - *სასწავლო გეგმა მოიცავს ყველა კომპონენტს, რომლებშიც ხდება კრედიტების მინიჭება;*
  - *სასწავლო გეგმაში მითითებული არჩევითი საგნების კრედიტების რაოდენობა ჯამში უნდა აღემატებოდეს არჩევითი საგნებისათვის პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საერთო რაოდენობას;*
  - *ერთმანეთზე დამოკიდებული, ან ერთმანეთთან დაკავშირებული საგნები შესაძლებელია და სასურველია, გაერთიანდეს მოდულში;*
  - *კრედიტი მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს;*
  - *საათები განაწილებულია სასწავლო კვირების მიხედვით.]*
- **სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი** *[დანართი №3 შესაბამისად]*

- **სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები)** *[შემუშავებული "სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) სტრუქტურისა და ფორმის" შესაბამისად]*
- **პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის CV** *[თუ პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ის CV განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, მაშინ შესაძლებელია მიეთითოს მხოლოდ მისი მისამართი]*
- **ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ** *[მიუთითეთ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მონაცემები და მათ მიერ წასაკითხი კურსების ჩამონათვალი]*
- **პროგრამის დამტკიცების / განახლების აქტი** *[მიუთითეთ თავფურცელზე (დანართი №1)].*

უნივერსიტეტის რექტორი ასოცირებული პროფესორი : ირმა შიოშვილი

დანართი №1

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

[სახელწოდება] ფაკულტეტის

[საბაკალავრო/ სამაგისტრო/ სადოქტორო/ ერთსაფეხურიანი სამედიცინო/ საბაკალავრო დამატებითი] საგანმანათლებლო პროგრამა:

"[სახელწოდება ქართულად]" ([სახელწოდება ინგლისურად])

მიმართულება/სპეციალობა: [სახელწოდება]

პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი: [ვინაობა, აკადემიური ხარისხი/თანამდებობა]

1. მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ

   ოქმი № _____ , "____" _____ 201___ წ.

   ფაკულტეტის დეკანი /...../

2. რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ

   ოქმი № _____ , "____" _____ 201___ წ.

   უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის
   სამსახურის ხელმძღვანელი: /...../

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ

   ოქმი № _____ , "____" _____ 201___ წ.

უნივერსიტეტის რექტორი /...../

თელავი
201...

[საფეხური] **საგანმანათლებლო პროგრამა:** "[სახელწოდება]" **სასწავლო გეგმა**

№	მოდული/სასწავლო კურსი/კოდი/	სტატუსი	კოდი	წინაპირობა (კოდი)	კრედიტი	კრედიტების განაწილება სასწავლო კურსებისა და სემესტრების მიხედვით								საათების განაწილება									სულ საათები
						I ს.წ.		II ს.წ.		III ს.წ.		IV ს.წ.		საკონტაქტო								დამოუკიდებელი	
						I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი	ლექცია	პრაქტიკული სამუშაო	ლაბორატორიული სამუშაო	სემინარი	პრეზენტაცია	შუალედური გამოცდა	ფინალური გამოცდა	სულ		
სულ:																							

დანართი №3

[საფეხური] **საგანმანათლებლო პროგრამა:** "[სახელწოდება]"

სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი

№	მოდული/ სასწავლო კურსი	კოდი	სემესტრი	კრედიტი	სტატუსი	პრერეკვიზიტი	**ლექტორ(ებ)ი** [მიუთითეთ ვინაობა და თანამდებობა]	**ძირითადი ლიტერატურა** [მიუთითეთ ასევე მისი მოძიების შესაძლებლობა]